

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„მანი მუვერს“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო პერიოდი 01.01.2019 – 31.12.2019

სარჩევი

1. შესავალი - შპს "მანი მუვერს"-ის საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა - 3
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადება-დამტკიცებაზე პასუხისმგებლობა - 4
3. ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ - 5
4. ანგარიშგება მოგება-ზარალის შესახებ - 6
5. ანგარიშგება ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ - 7
6. ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ - 8
7. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა - 9-14
8. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 15-19

შესავალი

შპს „მანი მუვერს“-ის დაფუძნება და რეგისტრაცია საგადასახადო ორგანოში მოხდა 2009 წლის 23 ივლისს და მიენიჭა საიდენტიფიკაციო კოდი: 200274318 , იურიდიული და ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი 172 გ.

შპს „მანი მუვერს“-ის 100% იანი წილის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს მმ ინვესტი - ს/წ 404409216 , 2019 წლის 27 ივნისიდან.

2013 წლის 14 იანვარს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შპს „მანი მუვერს“-ს დაარეგისტრირა, როგორც საგადახდო მომსახურების პროვაიდერი (რეგისტრაციის № 0008-9004), რის შემდეგაც მას საშუალება მიეცა გამოეშვა ელექტრონული ფული და განახორციელოს ელექტრონულ ფულთან და ელექტრონულ გადახდებთან დაკავშირებული კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ოპერაცია. კომპანია ასევე რეგისტრირებულია ფინანსური მონიტორინგის სამსახურში.

კომპანია „მანი მუვერს“-ის მიზანია შექმნას და მოემსახუროს როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ სრულყოფილი სერვისი ელექტრონულ კომერციაში, ასევე დანერგოს უამრავი ნოვატორული სერვისი თანამედროვე საგადახდო სისტემებში, შექმნას მარტივი ინფრასტრუქტურა მომხმარებელსა და მომწოდებელს შორის, რომელიც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებას.

კომპანია „მანი მუვერს“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი აგრეგატორია ამიერკავკასიაში. კომპანიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები თითქმის ყველა ქართულ სერვის პროვაიდერთან და ბანკთან. ახორციელებს მათ სასარგებლოდ გადახდების მიღებას საქართველოში არსებულ თითქმის ყველა საგადახდო არხის საშუალებით. საუბარია როგორც თვითმომსახურების ტერმინალებზე, ასევე ბანკებზე, ელ-საფულეებზე და სხვა გადახდების მიმღებ წერტილებზე.

კომპანია საქართველოს ფარგლებს გარეთ აქტიურად ავითარებს ელ-საფულეებზე თანხების შეტანა/გამოტანის სერვისს, ასევე მომხმარებელს ამ საფულეების დახმარებით სხვადასხვა სერვისის გადახდის შესაძლებლობას აძლევს.

კომპანია მანი მუვერსი ერთ-ერთი პირველი კომპანიაა რეგიონში, რომელმაც პირდაპირი კავშირი დაამყარა მსხვილ უცხოურ სერვის პროვაიდერებთან, იმ მიზნით, რომ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მათ სასარგებლოდ მიიღონ კონსოლიდირებული გადახდები.

დღეს უკვე კომპანია ამაყობს იმით, რომ ამ მიმართულებით ყოველდღიურად რამდენიმე ათეული ათასობით ტრანზაქციას ამუშავებს.

შპს მანი მუვერსი აქტიურად განაგრძობს საერთაშორისო სააგენტო ქსელის გაფართოებას, რაც მეტად კონკურენტუნარიანს ხდის უცხოურ ბაზარზე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება-დამტკიცებაზე პასუხისმგებლობა

შპს მანი მუვერსის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მოამზადოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგება ისე, რომ ის სამართლიანად ასახავდეს მის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე საქმიანობის შედეგს, ფულადი სახსრების მოძრაობას და ცვლილებებს კაპიტალში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია :

- ✓ შეარჩიოს კომპანიისთვის შესაბამისი პოლიტიკა და იხელმძღვანელოს ამ პრინციპებით;
- ✓ შეარჩიოს და გამოიყენოს ეფექტური შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ✓ აწარმოოს ზუსტი და დროული ბუღალტრული ჩანაწერები, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადდეს სამართლიანად, დროულად.
- ✓ ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის აქტივების დაცულობას, თაღლითობის, შეცდომების და სხვა დარღვევების გამოვლენას და თავიდან აცილებას;
- ✓ კომპანიისთვის სასარგებლო და წინდახედული გადაწყვეტილებების მიღება;
- ✓ აწარმოოს ბუღალტრული ოპერაციები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ✓ მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონალური საწარმოს პრინციპების შესაბამისად;

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2020 წლის 31 იანვარს.

დირექტორი: კახაბერ საკანელაშვილი

ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელი:
გიორგი ფაილაძე




Mob: +995 558 33 33 32 Tel: +995 32 2033333

E-mail: info@mm.ge www.mm.ge

ფინანსური მდგომარეობის უწყისი

ლარი	შენიშვნა	ბურღი 5		
		12/31/2019	12/31/2018	1/1/2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	11	456,385	456,268	230,257
საინვესტიციო ქონება		0	0	0
ინვესტიციები მეგავიწრო საწარმოში		0	0	0
		456,385	456,268	230,257
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	1	843,438	2,035,484	561,604
საფაქრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2	1,917,917	3,173,310	2,157,007
მარაგები	3	17,088	16,923	16,763
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		0	0	0
		2,778,443	5,225,718	2,735,373
მთლიანი აქტივები		3,234,828	5,681,986	2,965,631
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2,550,683	395,609	184,071
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		604,773	2,734,101	1,070,485
დივიდენდები		-1,689,952	-579,026	-858,947
გადაფასების რეზერვი		0	0	0
		1,465,504	2,550,683	395,609
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		0	0	0
ანარიცხები		0	0	0
გადავადებული შემოსავალი		0	0	0
		0	0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები		0	0	0
საფაქრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	4	1,723,994	2,977,596	2,637,740
საგადასახადო ვალდებულებები	5	45,330	153,706	-67,718
გადასახდელი პროცენტი		0	0	0
გადასახდელი დივიდენდი		0	0	0
		1,769,324	3,131,303	2,570,022
მთლიანი ვალდებულებები		1,769,324	3,131,303	2,570,022
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		3,234,828	5,681,986	2,965,631
შემოწმება		(0)	(0)	(0)


 დირექტორი
 31-Jan-20




ხელმოწერილი პირები:



 ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელი
 31-Jan-20

მოგება - ზარალის ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	12/31/2019	გვერდი 6 12/31/2018
ამონაგები	6	2,791,503	5,267,051
თვითღირებულება		-	-
საერთო მოგება		2,791,503	5,267,051
სხვა შემოსავლები		76,242	308,427
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	8	(2,172,617)	(2,028,699)
მიწოდების დანახარჯები	8	(8,736)	(10,396)
სხვა შემოსულობები/("ზარალი") - წმინდა	7	62,521	(72,364)
სხვა ხარჯები		(140,923)	(544,992)
საოპერაციო მოგება		607,990	2,919,027
ფინანსური შემოსავალი		-	-
ფინანსური ხარჯი		-	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა		-	-
მოგება დაბეგვრამდე		607,990	2,919,027
მოგების გადასახადი		(3,217)	(184,926)
წმინდა მოგება		604,773	2,734,101
სხვა სრული შემოსავალი:		-	-
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		604,773	2,734,101


დირექტორი
31-Jan-20




ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელი
31-Jan-20

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარი

გვერდი 7

	შენიშვნა	12/31/2019	12/31/2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა მოგება			
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:		604,773	2,734,101
- გადასახადები		97,346	308,390
- ცვეთა		3,217	184,926
- სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი		11 95,021	125,385
- მარაგების გაუფასურება		-	-
- ძირითადი საშუალებების გაუფასურება		-	-
- ცვლილება ანარიცხებში		-	-
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		(891)	(1,921)
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში		(106,750)	(455,183)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		2 1,255,393	(1,016,303)
- მარაგები		3 (165)	(160)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		4 (1,253,602)	339,856
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები		5 (108,377)	221,425
- გადავადებული შემოსავალი		-	-
- ანარიცხები		-	-
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები		595,370	2,587,308
- მიღებული პროცენტი		-	-
- გადახდილი პროცენტები		-	-
- გადახდილი მოგების გადასახადი		(3,217)	(184,926)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		592,153	2,402,382
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
- ძირითადი საშუალებების შეძენა		11 (94,247)	(349,475)
- ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები		-	-
- ბიოლოგიური აქტივების შეძენა		-	-
- საინვესტიციო ქონების შეძენა		-	-
- მიღებული დივიდენდები		-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(94,247)	(349,475)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)		-	-
- სასესხო ვალდებულების ზრდა		-	-
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა		-	-
- გადახდილი დივიდენდები		(1,689,952)	(579,026)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(1,689,952)	(579,026)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)		(1,192,046)	1,473,881
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საწყისი ბალანსი		2,035,484	561,604
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება		-	-
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი		843,438	2,035,484

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი

31-Jan-20

ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელი

31-Jan-20

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება


ლარი

გვერდი 8

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 1 იანვარი	11,200	0	384,409	395,609
წმინდა მოგება	-	-	2,734,101	2,734,101
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	2,734,101	2,734,101
გაცემული დივიდენდი	-	-	(579,026)	(579,026)
2018 წლის 31 დეკემბერი	11,200	-	2,539,483	2,550,683
წმინდა მოგება	-	-	604,773	604,773
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	604,773	604,773
გაცემული დივიდენდი	-	-	(1,689,952)	(1,689,952)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	11,200	-	1,454,304	1,465,504
შემოწმება, 2018	-	-	-	-
შემოწმება, 2019	-	-	-	-

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი



ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელი

31-Jan-20

ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

შპს მანი მუვერსის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტით მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართული ლარში, რადგან ეროვნული ვალუტა უფრო სწორად ასახავს კომპანიის ძირითადი ოპერაციების ეკონომიკურ შიანაარსს და ტრანზაქციებს. ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადდა „მსს ფასს“-ის გამოყენებით ისტორიული ღირებულების პრინციპების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის გარდა, მომზადებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე. დარიცხვის მეთოდის თანახმად, სააღრიცხვო ერთეული აქტივად, ვალდებულებად, საკუთარ კაპიტალად, შემოსავლად ან ხარჯად უნდა აღიარდეს იმ მომენტში, როდესაც იგი დააკმაყოფილებს შესაბამის განმარტებასა და აღიარების კრიტერიუმებს.

აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების შეფასება ხდება პირვანდელი ღირებულებით.

- აქტივი არის რესურსი, რომელსაც საწარმო აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და რის საფუძველზეც საწარმო მომავალში მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას;
- ვალდებულება საწარმოს მიმდინარე პერიოდის ვალდებულებაა, რომელიც წარმოიშვა წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და რომლის დაფარვა გამოიწვევს საწარმოდან რესურსების გასვლას, რომელშიც განივთებულია ეკონომიკური სარგებელი;
- საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშგების პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი თვის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი	აშშ დოლარი	ევრო	რუსული რუბლი
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.8677	3.2095	0.046423
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6766	3.0701	0.038588
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	2.5922	3.1044	0.044935

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები არის ფული, მიმდინარე ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში და ფული მიმდინარე ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში, რომლებსაც აქვთ ფასის შეცვლის მცირედი რისკი. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრების ნაშთების გადაფასება ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის გაცვლითი ოფიციალური კურსის შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომლებიც განცალკევებულად ასახავს დაკავშირებული მხარეებისა და სხვა მხარეებისგან მისაღებ თანხებს და ასევე ისეთ მოთხოვნებს, რომლებიც წარმოიქმნება დარიცხული შემოსავლებიდან, რომლისთვისაც საწარმოს ჯერ არ წარუდგენია გადახდის ანგარიშები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება თავდაპირველი ღირებულებით და შემდგომ ხდება მათი შეფასება და დგინდება გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მისი მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას შორის. აქტივის მიმდინარე ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, და ზარალის თანხა აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. როდესაც სავაჭრო მოთხოვნების მიღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. შემდგომი აღდგენები დარეზერვებული მოთხოვნებიდან კრედიტდება მოგება ზარალის ანგარიშებაში.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელი სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.



მარაგები

საწარმო მარაგებს აფასებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის საქმიანობას არ წარმოადგენს ვაჭრობა, ანგარიშგებაში მოცემული მარაგები სამომავლოდ განკუთვნილია სარეკლამო მიზნებისათვის.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო ვადების დადგენა ხდება იმ ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა ტექნიკური ან კომერციული დაძველება, აქტივების მოსალოდნელი გამოყენება აქტივების მოსალოდნელ ფიზიკური მწარმოებლურობის მოცულობასთან და მოსალოდნელ ფიზიკურ ამორტიზაციასთან კავშირში, რაც დამოკიდებულია საწარმოო ფაქტორებზე.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასიცხოლო პერიოდის განმავლობაში, ცვეთის განსაზღვრული წლიური ოდენობით.

მანქანა-დანადგარები	20%
ოფისის აღჭურვილობა	20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სატრანსპორტო საშუალებები	20%
არამატერიალური აქტივები	15%



სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ვალდებულებები, რომლებიც განცალკევებულად ასახავს მომწოდებლებისა და დაკავშირებული მხარეებისთვის გადასახდელ თანხებს, გადავადებულ შემოსავალსა და დარიცხვებს. საწარმოს გააჩნია მხოლოდ მოკლევადიანი ვალდებულებები.

შემოსავლების და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. ხარჯის აღიარება ხდება მისი გაწევისთანავე.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის მიერ გამოშვებული კაპიტალის ინსტრუმენტებია აღირიცხება მიღებული შემოსავლით. აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალს. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, საპენსიო შენატანები, სადაზღვეო სისტემაში შენატანები, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებს შორის

პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო)

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ საწარმოებთან. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის, გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

მნიშვნელოვანი ბუღალტრული გადაწყვეტილებები, შეფასებები და ვარაუდები

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტისგან გადაწყვეტილებების მიღებას, შეფასებების და ვარაუდების შემუშავებას, რასაც გავლენა აქვს ანგარიშში მოყვანილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ოდენობაზე და თანმხლებ გამოვლინებებზე და სადავო ვალდებულებების გამოვლინებაზე.

გაურკვევლობამ ამ ვარაუდებსა და შეფასებებთან დაკავშირებით შესაძლოა მიგვიყვანოს შედეგებამდე, რაც საჭიროებს აქტივების და პასივების საბალანსო მაჩვენებლების არსებით რეგულირებას, რომლებიც შეიცვლება სამომავლო პერიოდში.

მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში ცვლილებები შევიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოგების გადასახადის ნაწილში. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან ყველა ქართული კომპანიისთვის, გარდა ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, მათთვის ეს კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვარიდან. ახალი რეგლამენტის მიხედვით, მოგების გადასახადით დაიბეგრება მოგების ის ნაწილი, რომელიც გაიცემა დივიდენდის სახით აქციონერებზე/მფლობელებზე, რომლებიც არიან საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები. გაცემულ დივიდენდზე დასაბეგრი მოგების გადასახადის ოდენობა განისაზღვრება როგორც გაცემული თანხის 15/85. კომპანიები შეძლებენ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან გაცემულ დივიდენდზე დარიცხული მოგების გადასახადის გაქვითვას, აღნიშნულ პერიოდში არსებული რეგულაციების მიხედვით გადახდილი მოგების გადასახადის შესაბამისად. დივიდენდები გაცემული საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს შორის არ დაიბეგრება.

ზემოთ აღწერილი საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შედეგად დაბეგვრას დაექვემდებარება გარკვეული ტიპის გარიგებებიც, რომლებიც ჩაითვლება მოგების დისტრიბუციად. მაგალითად, ზოგიერთი გარიგება



არასაბაზრო ფასებში, არაეკონომიკურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უფასო მიწოდება. ასეთი გარიგების დაბეგვრა სცდება ბასს 12 საშემოსავლო გადასახადების ფარგლებს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება, როგორც საოპერაციო გადასახადები.

დირექტორი: კახაბერ საკანელაშვილი



ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელი:
გიორგი ფაილაძე

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

გვ. 15

ლარი

შენიშვნა 1		
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები		
	2019 წელი	2018 წელი
ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	485,664	1,252,814
ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში (ეკვივალენტით ლარში)	357,774	782,671
სულ	843,438	2,035,484
შემოწმება	-	-

შენიშვნა 2		
საფაქრო და სხვა მოთხოვნები		
	2019 წელი	2018 წელი
მოკლევადიანი მოთხოვნები	1534853	2513837
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	383064	659473
სულ	1,917,917	3,173,310
შემოწმება	-	-
შპს მანი მუვერსის მოთხოვნების ვადა ყოველთვის ნაკლებია 1 წელზე. ჩვენი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დაფარვა ხდება ყოველდღიურად. სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში შედის მოთხოვნა მერჩანტთან 22020 ლარის ოდენობით, რომელიც გამოწვეულია ჩარჯბექ ოპერაციით.		

შენიშვნა 3		
მარაგები		
	2019 წელი	2018 წელი
საწვავი/ბენზინი დიზელი/	1,116	951
სარეკლამო საქონელი	15,973	15,973
სხვა მატერიალური მარაგები	-	-
სულ	17,088	16,923
შემოწმება	0	0
გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის საქმიანობას არ წარმოადგენს ვაჭრობა, ანგარიშგებაში მოცემული მარაგები სამომავლოდ განკუთვნილია სარეკლამო მიზნებისათვის.		

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ლარი

გვერდი 16

შენიშვნა 4

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2019 წელი	2018 წელი
მოკლევადიანი ვალდებულებები	279,577.74	433,465.79
სხვა საერთო ვალდებულებები	115,716	177,232
მიღებული ავანსები	1,328,700	2,366,899
სულ	1,723,994	2,977,596

შემოწმება

- -

შპს მანი მუვერსის ვალდებულებების ვადა ყოველთვის ნაკლებია 1 წელზე. ჩვენი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დაფარვა ხდება ყოველდღიურად.

შენიშვნა 5

საგადასახადო ვალდებულებები

	2019 წელი	2018 წელი
გადასახდელი მოგების გადასახადი - ესტონური მოდელით	36,812	113,055
გადასახდელი დღგ გადასახადი -საბაჟოზე	1,068	404
საშემოსავლო გადასახადები	32,870	95,250
დღგ	-	-
ქონების გადასახადი	4,563	1,043
გადასახადების ერთიანი კოდი	(30,708)	(56,046)
საპენსიო პროგრამის ერთიანი ანგარიში	725	-
სულ	45,330	153,707

შემოწმება

- 0

- საქართველოს საგადასახადო კოდექსში დაბეგვრის ესტონურ მოდელზე გადასვლის გამო წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულების დასაბეგს ბაზას წარმოადგენს, როგორც გაცემული დივიდენდები ასევე ოფშორულ ქვეყნებში რეგისტრირებული კომპანიებისთვის გადარიცხული ავანსები;

- საშემოსავლო გადასახადის დასაბეგრი ბაზა მოიცავს: ხელფასებს, დივიდენდს, მომსახურების ანაზღაურებას ფიზიკური პირებზე, სსკ-ის 134-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრული თანხები;

- შპს მანი მუვერსის პირად სააღრიცხვო ბარათზე არსებული ვალდებულების ნაშთი (ამ შემთხვევაში ავანსი) საქართველოს შემოსავლების სამსახურში.

შენიშვნა 6

საოპერაციო მოგება

	2019 წელი	2018 წელი
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები	7,784,343	14,013,222
გამოქვითვები საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან	4,992,840	8,746,170
ნეტო შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან	2,791,503	5,267,051

შემოწმება

0 0

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

გვერდი 17

ლარი

შენიშვნა 7

სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2019 წელი	2018 წელი
საკუროს სხვაობით მიღებული მოგება	974,025	840,170
საკუროს სხვაობით მიღებული (ზარალი)	(911,504)	(912,534)
სულ	62,521	(72,364)
შემოწმება	0	0

შენიშვნა 8

სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019 წელი	2018 წელი
სარეკლამო ხარჯი	8,736	10,396
შრომის ანაზღაურება	1,469,423	1,329,580
პერსონალის დაზღვევის დანახარი	49,027	17,976
საიჯარო ქირა	243,224	204,426
კომუნიკაციის ხარჯი	45,196	41,545
კომპიუტერული ხარჯი	8,250	25,242
კომუნალური ხარჯი/გაზი, ელ, ენერგია, წყალი, დასუფთავება/	20,836	22,083
მივლინების ხარჯი	43,004	47,093
საფოსტო ხარჯი	16,062	21,684
ავტომობილის დაზღვევა საწვავის და სარემონტო ხარჯი	17,219	22,649
საოფისე ხარჯი	9,213	16,415
საკანცელარიო დანახარი	5,440	2,553
საკონსულტაციო დანახარი	12,225	
დაცვის მომსახურების ხარჯი	7,258	6,727
წარმომადგენლობითი ხარჯი	30,823	35,405
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული ხარჯი	-	1,587
ბანკის საკომისიო	56,269	56,006
დომენი	4,144	2,190
ცვეთა/ამორტიზაცია - გაყიდული/ჩამოწერილი ძირითადი საშუალებების თვითღირებულება	95,021	125,385
სხვა საერთო ხარჯი	32,354	27,435
ოფისის სარემონტო ხარჯი	7,627	22,718
სულ	2,181,353	2,039,095
შემოწმება	0	0

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ლარი

შენიშვნა 9

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

შპს მანი მუვერსის დამფუძნებელი შპს მმ ინვესტი ასევე წარმოადგენს სხვა კომპანიების მეწილეს, რომლებსაც საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ქონდათ ოპერაციები შპს მანი მუვერსთან, ესენია: შპს მეიქედი, შპს აერო სერვისი

შპს მეიქედი - განხორციელდა ძირითადი საშუალების გაყიდვის ოპერაცია და მასთან სადებეტო და საკრედიტო ბრუნვამ შეადგინა 10458.15 ლარი

შპს აერო სერვისი - საგადახდო მომსახურების პროვაიდერის საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული ოპერაციები (ბრუნვის სხვაობა 2751.60 ლარი)

შენიშვნა 10

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წლის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების მომენტში ადგილი არ ქონია მოვლენებს, რომლებიც მოახდენდნენ გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე. ასევე გვინდა ავლნიშნოთ, რომ COVID -19 პანდემიამ შესაძლოა ნეგატიური გავლენა მოახდინოს როგორც გარემო ფაქტორებზე ასევე ჩვენს ბიზნესზე, რომელიც ასახვას ჰპოვებს 2020 წლის კომპანიის ფინანსურ შედეგზე.

შენიშვნა: 11

ძირითადი საშუალებები

ლარი

გვერდი 19

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2018	-	-	162,069	332,858	60,081	194,651	749,659
შემოსვლა	-	-	-	93,618	1,520	116,555	211,693
გადაფასება	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	120,700	120,700
31 დეკემბერი 2019	-	-	162,069	426,476	61,601	190,506	840,652
ცვეთა და გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018	-	-	(102,572)	(132,184)	(19,382)	(39,254)	(293,391)
პერიოდის ცვეთა	-	-	(8,645)	(46,034)	(8,424)	(31,027)	(94,130)
გასვლა	-	-	-	-	-	3,254	3,254
31 დეკემბერი 2019	-	-	(111,217)	(178,218)	(27,806)	(67,026)	(384,267)
წმინდა საბალანსო ღირებულება	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018	-	-	59,497	200,674	40,700	155,397	456,268
31 დეკემბერი 2019	-	-	50,852	248,258	33,796	123,479	456,385


- ცვეთის მეთოდი: შემცირებადი ნაშთის მეთოდი

- ძირითადი საშუალებები შეფასებულია თვითღირებულებით

ხელმოწერილი პირები:


 დირექტორი
 31-Jan-20




 ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელი
 31-Jan-20